ხელშეკრულება № 37

კასპი 27 თებერვალი 2017 წელი

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი შემდგომში „დამქირავებლად" წოდებული, წარმოდგენილი გაერთიანების დირექტორის მანანა ხვთისიაშვილის სახით და მეორეს მხრივ კერძო აუდიტი, ი/მ გულქან ბარნოვი, შემდგომში „შემსრულებლად" წოდებული, ვხელმძღვანელობთ, რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია აუდიტორული დასკვნა - ჩამოსაწერი ინვენტარის შეფასება კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალ საბავშვო ბაღებში.
1.2 მომსახურების გაწევის ადგილია: კასპი - წერეთლის ქ.#6; ეფრემ მეორის ქ.#2ა; ქუთათელაძის ქ.#2; ბორჯომის ქ.#1, სოფლები: ზემო ხანდაკი, სამთავისი, კავთისხევი, ახალქალაქის #1, ქვემო ჭალა, დოესი, ხოვლე, თელიანი, სასირეთი, მეტეხი, ქვემო გომი, ეზატი.

2. მომსახურეობის გაწევის წესი, ვადები და ღირებულება

2.1 მომსახურეობა ხორციელდება ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.
2.2. მთლიანი ღირებულება შეადგენს 400 (ოთხასი) ლარს.
2.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის შემდეგ, 10 (ათი) სამუშაო დღეში (გადარიცხვით).
2.4. სამუშაო უნდა შესრულდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღეში.

3. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

3.1 ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
3.2. ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში (ლარი)
3.3. ანგარიშსწორება წარმოებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ მითითებული რვანიშნა კოდით: 79200000; (79212000)

4. მხარეთა უფლება- მოვალეობები

4.1. „შემსრულებელი" კისრულობს ვალდებულებას:
4.2. უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს სახელშეკრულებო პირობის შესრულება.
4.3. „დამქირავებელი" კისრულობს ვალდებულებას:
4.4. დროულად მოახდინოს ანგარიშსწორება მომსახურების შემდეგ.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები.

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 27. 02. 2017 წლიდან 25. 05. 2017 წლამდე

8. ზოგადი დებულებები

8.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.
8.2. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

8.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგლამენტირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და გამქირავებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

10. დავათა განხილვის წესი

10.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

11. მხარეთა რეკვიზიტები:

„დამქირავებელი“
კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის
დაწესებულებების გაერთიანება;
მისამართი: კასპი, სააკაძის ქ. №68
ს/კ 232559781:

გაერთიანების დირექტორი: მანანა ხვთისიაშვილი

„ შემსრულებელი“
ი/მ „გულქან ბარნოვი“
მისამართი: კასპი, სააკაძის ქ. №68
საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „ლიბერთი ბანკის“ კასპის ფილიალი
ბანკის კოდი: LBRTGE 22 GE89LB0112194621169000/მფო 220101478;
ს/კ №24001002941

კერძო აუდიტი: გულქან ბარნოვი